

# ბახსენება - MEMORY

ლევან გორდეზიანი

## გიორგი მელიქიშვილის საიუბილეოდ

2018 წლის 30 დეკემბერს დიდ ქართველ მეცნიერს, აკადემიკოს გიორგი მელიქიშვილს 100 წელი შეუსრულდებოდა. ეს თარიღი საქართველოს ეროვნულმა აკადემიამ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტმა საგანგებოდ აღნიშნა.

მე ex officio წილად მხვდა პატივი, ამ შეხვედრებზე ბატონი გიორგის მოღვაწეობის შესახებ მელაპარაკა. წინამდებარე წერილი სწორედ ამ გამოსვლების ოდნავ გადამუშავებული ვერსიაა.

ბატონი გიორგი სიცოცხლეშიც დაფასებული იყო, როგორც წარმატების ფორმალური ნიშნებით - იყო ლენინური პრემიის ლაურეატი, მეცნიერებათა აკადემიის წევრი, ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი, ასევე აკადემიურ წრეებში მოპოვებული უდიდესი ავტორიტეტითა და პატივისცემით. მისი გარდაცვალების შემდეგაც კოლეგებმა და მოსწავლეებმა არაერთი ნაშრომი უძღვნეს მის პიროვნებასა და სამეცნიერო მემკვიდრეობას. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია აკად. ნანა ხაზარაძის ნიგნი (*გიორგი მელიქიშვილი 90. ბიობიბლიოგრაფია*. ლოგოსი, თბილისი 2008). ამ ფონზე მე მხოლოდ იმიტომ გავბედე შევჭიდებოდი ამ თემას, რომ ბატონი გიორგის შემოქმედების ზოგიერთი ასპექტი ახლებურად წარმომიდგა დროთა განმავლობაში და, განსაკუთრებით, მას შემდეგ, რაც გავეცანი საიუბილეოდ გამოცემულ ნიგნს (*გიორგი მელიქიშვილი 100. მემუარული ჩანაწერები, ისტორიული ეტიუდები, მოსაზრებანი, სტატიები პერიოდულ პრესაში, მიმონერა ქართველ და უცხოელ მეცნიერებთან*, რედ. ნინო მელიქიშვილი, სოფიო სარჯველაძე, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, თბილისი, 2019). ვფიქრობ, რომ ეს ნიგნი მნიშვნელოვანი შენაძენია ქართული აკადემიური საზოგადოებისათვის და მის რედაქტორებსა და გამომცემლებს დიდი მადლობა უნდა ვუთხრათ. სამწუხაროდ, ტირაჟი საკმაოდ მცირე იყო და ნიგნი ყველა მსურველს არ ერგო. იმედს გამოვთქვამ, რომ მოხერხდება მისი ხელახალი გამოცემა.

გიორგი მელიქიშვილი ადრეულ ასაკშივე გამოირჩეოდა განსაკუთრებული ნიჭითა და შრომისმოყვარეობით, იგი ორჯერ „გადაახტუნეს“ კლასიდან კლასში და 16 წლისა უკვე სტუდენტი იყო. იგი დიდხანს მერყეობდა, სკოლის დამთავრების შემდეგ განცხადება უნივერსიტეტში რომელ დარგზე შეეტანა - ფიზიკის თუ ისტორიის. ამ უკანასკნელისაკენ, ძირითადად, პოლიტიკისადმი ინტერესმა უბიძგა (*გიორგი მელიქიშვილი 100*, გვ. 32). მართალია, მან ისტორია აირჩია, მაგრამ ზუსტი მეცნიერებისათვის დამახასიათებელი

მკაფიო და ლაკონური სტილი კარგად იგრძნობა მის პუბლიკაციებსა თუ ზეპირ გამოსვლებში. დისკუსიაში მისი რკინისებური ლოგიკა და აზრის ძალა ლამის ფიზიკურად იგრძნობოდა.

უნივერსიტეტში ბატონ გიორგის არაერთი შესანიშნავი მეცნიერი უკითხავდა ლექციებს. ბუნებრივია, თითოეულს გასჩენოდა სურვილი, ნიჭიერი სტუდენტი მისი საკვლევი სფეროთი დაინტერესებულიყო. უნივერსიტეტის დამთავრების მომენტისათვის მის წინაშე დადგა ჰუმანიტარულ მეცნიერებებში მოღვაწე ქართველ სწავლულთათვის კარგად ნაცნობი დილემა - დაკავებულები იმ პრობლემატიკით, რომელიც მსოფლიო მეცნიერებისთვისაა აქტუალური, თუ ეფიქრა ქართველოლოგიისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე. ბატონმა გიორგიმ გენიალურად მარტივი გადაწყვეტილება მიიღო და მოახერხა ორივეს შეთავსება. მისმა ურარტოლოგიურმა ძიებებმა ეს დარგიც ახალ საფეხურზე აიყვანა და საქართველოს ძველი ისტორიის შესასწავლადაც უმნიშვნელოვანესი შედეგები მოიტანა. აქ საილუსტრაციოდ იკმარებს თუნდაც დიაოხის ტაოსთან იდენტიფიკაცია, რაც დღეს საყოველთაოდაა გაზიარებული.

40-იანი წლების მეორე ნახევრიდან ბატონი გიორგი აქვეყნებს სტატიებს ურარტუს ისტორიის სხვადასხვა საკითხზე, რაც შემდგომ თავს იყრის მის მონოგრაფიაში *Наири-Урарту* (Издательство АН ГССР, Тбилиси, 1954).

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ურარტული ტექსტების კორპუსი - *Урартские клинообразные надписи*, რომელიც ნაწილ-ნაწილ ქვეყნდებოდა ჟურნალში *Вестник Древней Истории* (1-4, 1953, 1, 1954, 3-4, 1971), ხოლო 1960 წელს ცალკე წიგნადაც გამოიცა. შეიძლება ითქვას, რომ ამ ნაშრომით დასრულდა ურარტულის გაშიფრვა. როგორც წესი, ამ ტერმინს ურარტულთან მიმართებაში ერიდებიან, სავარაუდოდ იმიტომ, რომ არ გვაქვს ერთი ფიქსირებული თარიღი და სახალისო ისტორია ამ ენისათვის გასაღების მორგებისა, როგორც მაგალითად, შამპოლიონის, გროტეფენდის, ჰროზნისა თუ ვენტრისის მიგნებათა შემთხვევაში. ურარტულის შესწავლაში შეიძლება გამოიყოს შემდეგი ეტაპები: პირველი აღმოჩენები და პუბლიკაციები XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე, 20-30-იან წლებში მიხაკო ნერეთლის, იოჰანეს ფრიდრიხისა და ალბრეხტ გოეტცეს ნაშრომები და 40-50-იანი წლების გარღვევა, რის გვირგვინსაც წარმოადგენს ბატონი გიორგის წიგნი. ამ ნაშრომის გამოსვლა, გარკვეულწილად, შეიძლება შევადაროთ 1857 წლის ექსპერიმენტს, რომელიც ასირიოლოგიის დაბადებადაა მიჩნეული. წიგნში, იმ დროისათვის არსებული სრული კორპუსის გარდა, მოცემულია ლექსიკონი და ურარტული ენის გრამატიკა. ჩემი აზრით, ავტორმა სრულიად სამართლიანად გაითვალისწინა არსებული მასალის სიმწირე და შემოგვთავაზა არა წმინდა ენათმეცნიერული გრამატიკა, დაფუძნებული ჰიპოთეტურ აღდგენებზე, არამედ ერთგვარი გზამკვლევი არსებული ტექსტების აღსაწერად და გასაგებად, რომელსაც დღემდე არ დაუკარგავს აქტუალობა, მიუხედავად იმისა, რომ არაერთი ახალი გრამატიკა გამოქვეყნდა უკანასკნელ წლებში.

ნიგნი დღემდე სამაგიდოა ურარტოლოგებისათვის და მეც დღემდე ამ ნიგნით ვასწავლი სტუდენტებს.

აქვე მინდა შევეხო ერთ საჩოთირო საკითხს ორი დიდი ქართველი ურარტოლოგის ურთიერთობასთან დაკავშირებით, რასაც ბატონი გიორგი თავის მემუარებში ძალზე მოკლედ ეხება და რაც დღეს შეიძლება არ იყოს სწორად გაგებული: „ვეფიქრობ, არც ჩემ მიერ გამოცემულ ურარტული წარწერების კორპუსს იცნობდა იმ დროს მ. წერეთელი, თორემ ასე გულთბილად არ შემხვდებოდა - მე ხომ იქ [...] ერთგვარი უტაქტობა გამოვიჩინე მის მიმართ - მისი კრიტიკა წამოვიწყე, რის გამოც ერთხანს მემდუროდა კიდეც მისი ძმისშვილი, ჩემი ყოფილი ხელმძღვანელი გიორგი წერეთელი“ (გიორგი მელიქიშვილი 100, გვ. 59). 50-იანი წლების საქართველოში ემიგრანტისა და ბოლშევიკების იდეური მოწინააღმდეგის, მიხაკო წერეთლის ხსენებაც კი სახიფათო იყო, ხოლო მოუხსენიებლობა ურარტოლოგიურ კვლევაში არ ჯდებოდა აკადემიურ ეთიკაში. შესაბამისად, კრიტიკა იყო მისი დამსახურებების ასახვის ერთადერთი შესაძლებელი ფორმა. აქ ბატონი გიორგი არ ცდილობს „თავი იმართლოს“, თუმცა საბჭოთა კავშირში ამ ილეთით სარგებლობის პრაქტიკას იგი სხვა კონტექსტში ეხება (იხ. მაგ., გიორგი მელიქიშვილი 100, გვ. 213).

საქართველოს ძველი ისტორიის შესწავლაში ბატონი გიორგის ღვაწლი კარგადაა ცნობილი ქართული აკადემიური საზოგადოებისათვის. მისი კლასიკური ნაშრომი *К истории древней Грузии* (Издательство АН ГССР, Тбилиси, 1959) დღემდე აქტუალურია და ახლა მისი ინგლისურად გამოცემაც იგეგმება. *საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის* („მეცნიერება“, თბილისი, 1965) და *საქართველოს ისტორიის ნარკვევები* (ტ. I, თბილისი, 1970) ჯერაც რჩება სახელმძღვანელოდ ჩვენი სტუდენტებისთვის. საოცარია, მაგრამ იქაც კი, სადაც მეთოდოლოგიური საფუძველი, საკითხის დასმა არსებითად შეიცვალა დღევანდელ მეცნიერებაში (მაგ., ეთნოსის, ეთნოგენეზის გააზრება), დიდი მეცნიერის მიერ მოტანილ მასალასა და არგუმენტაციას, მის ნააზრევს მაინც ვერ ავუვლით გვერდს.

60-იანი წლებიდან ბატონი გიორგი ჩაერთო დისკუსიაში ძველალმოსავლური საზოგადოების ხასიათის თაობაზე და შემოგვთავაზა ახალი ხედვა, რაც ღრმა ცოდნისა და ორიგინალური არგუმენტაციის გარდა, სამოქალაქო გამბედაობასაც მოითხოვდა. მისი თეზისი ძველალმოსავლური საზოგადოებების/სახელმწიფოების „ადრეკლასობრივი“ ხასიათის შესახებ საბჭოთა კავშირისათვის ერთგვარად „მკრეხელურად“ გამოიყურებოდა, რადგან, თუ კარგად ჩაუკვირდებოდი, გარკვეულწილად ეწინააღმდეგებოდა ფორმაციათა მარქსისეულ სქემას, თუ მის საბჭოურ სტანდარტიზებულ ვერსიას. რამდენადაც ვიცი, მას ამის გამო უსიამოვნებაც შეხვდა, მაგრამ იდეის ბუდაპეშტში გამოქვეყნების შემდეგ ის საბჭოთა კავშირში აღარ დაბლოკილა (გიორგი მელიქიშვილი 100, გვ. 95) და ქართველ მეცნიერებს შესაბამისი

პრობლემატიკის თავისუფლად კვლევის გზა გაუხსნა. ამ იდეას დაეფუძნა საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოც - „ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია“, რომლითაც ასევე დღემდე სწავლობენ სტუდენტები და მრავალი კონკრეტული გამოკვლევაც. ჩემთვისაც ეს გახდა ბიძგის მომცემი იმ კვლევაში, რომელმაც საბოლოოდ ანტიკური საზოგადოების მონათმფლობელური ხასიათის უარყოფამდე მიმიყვანა.

მრავალი წლის მანძილზე „ადრეკლასობრივი“ საზოგადოების/სახელმწიფოს თეზისი მიმაჩნდა გონებამახვილურ ილეთად, რითიც ბატონმა გიორგიმ იდეოლოგიური მარწუხებიდან გაგვათავისუფლა. მხოლოდ ახლა, მისი ადრე გამოუქვეყნებელი ნაშრომების გაცნობის შემდეგ, მივხვდი, რომ მისი „მკრეხელობა“ ბევრად უფრო შორს მიდიოდა, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანდა - ჰეგელის დიალექტიკით შეიარაღებული ბატონი გიორგი თავად მარქსის მსჯელობაში ხედავდა შეუსაბამობას და მისი სქემის შესწორებულ ვერსიას გვთავაზობდა, სადაც ადრეკლასობრივ საზოგადოებას სავსებით ლოგიკური და კანონიერი ადგილი ეკუთვნოდა (*გიორგი მელიქიშვილი 100*, გვ. 169-188).

ძნელია გადაჭარბებით შეაფასო ბატონი გიორგის ღვანლი სიძველეთმცოდნეობის სფეროში. მის ფართო სამეცნიერო ინტერესებში შემავალი სამივე მიმართულებით მან დიდ შედეგებს მიაღწია და კვლევა ხარისხობრივად ახალ დონეზე აიყვანა. ქართული სიძველეთმცოდნეობის განვითარებისათვის ძალზე მნიშვნელოვანი იყო აგრეთვე მისი პედაგოგიური და ადმინისტრაციული მოღვაწეობა. იგი იყო სრულიად განუმეორებელი სამეცნიერო ხელმძღვანელი და დირექტორი, ზრუნავდა მის ინსტიტუტში და ზოგადად საქართველოში ახალი დარგების შექმნაზე, თავის თანამშრომლებსა და მოსწავლეებს უქმნიდა ოპტიმალურ პირობებს საკუთარი თავის სრულად გამოხატვისთვის. საკუთარ აზრს არასოდეს გვახვევდა თავს, მხოლოდ დამოუკიდებელი აზროვნებისა და მუშაობის სტიმულირებას ცდილობდა, შენიშვნასაც ძალიან ტაქტიანად გვაძლევდა - ვითომ შემთხვევით, მიამიტურად დასმული კითხვით მიგვითითებდა შეცდომაზე და ხშირად კვლევის ახალ მიმართულებასაც გვკარნახობდა.